ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა

მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებენ საჯარო კონკურსებს საკრებულოს აპარატის და გამგეობის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად.

კონკურსები ცხადდება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით შემდეგი პირობებით:

1. კონკურსებს ატარებს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომელიც ადგენს კონკრეტული ვაკანტური თანამდებობისთვის დაწესებული საკონკურსო საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობას.

2. კონკურსებში მონაწილეობის უფლება ეძლევა 18 წლის ასაკს მიღწეულ, საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

3. კანდიდატმა კონკურსებში მონაწილეობისთვის განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით, მისამართზე: www.hr.gov.ge.

4. კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია საკონკურსო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

5. კანდიდატს შეუძლია განცხადებაში შეიტანოს ცვლილება განცხადების წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

6. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) – „ჩემი რეზიუმეს“ „დამატებითი დოკუმენტაციის“ ბლოკში კანდიდატმა უნდა ატვირთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ან მართვის მოწმობა);

ბ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) სტაჟის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი (შრომის წიგნაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა) - შესაბამისი თანამდებობისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით სამუშაო გამოცდილების მოთხოვნის შემთხვევაში.

7. საბუთები წარდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი საბუთის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის წარდგენა). საბუთების არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კანდიდატი კონკურსების მე-2 ეტაპზე არ დაიშვება.

8. კონკურსები ჩატარდება 2 ეტაპად:

ა) I ეტაპი მოიცავს საკონკურსო–საატესტაციო კომისიის მიერ კონკურსებში მონაწილე კანდიდატთა განცხადებების (აპლიკაციების) გადარჩევას;

ბ) II ეტაპი ტარდება გასაუბრების წესით, შესაბამისი თანამდებობისთვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნით გათვალისწინებულ თემატიკასთან დაკავშირებით; გასაუბრება ჩატარდება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189).

9. კონკურსების გასაუბრების ეტაპზე გამოცხადებისას მონაწილემ თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ან მართვის მოწმობა).

10. კანდიდატს კონკურსების თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაცია ეცნობება აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში. ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებგვერდებზე (www.khobi-sakrebulo.ge; www.khobi.ge).

11. კონკურსანტს უფლება აქვს კონკურსების შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში, შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მხოლოდ წერილობითი ფორმით, მისამართზე: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189 (ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა).

12. ინფორმაცია კონკურსების მიმდინარეობის შესახებ დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებგვერდებზე, შემდეგ მისამართებზე:

ა) საკრებულო - www.khobi-sakrebulo.ge
ლინკი: http://khobi-sakrebulo.ge/ge/our-municipality/vakansiebi/2016-tseli/dekemberi

ბ) გამგეობა - www.khobi.ge
ლინკი: http://www.khobi.ge/index.php?location=tree_elements&id=2536&slave=2535&lang=

13. საკონტაქტო ინფორმაცია: ელექტრონული ფოსტა: hr@khobi.ge
ტელეფონი: 599852928 (ირაკლი ძიძიგური)

ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა
მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია